



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №203

2016 წლის 27 ოქტომბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის ტერიტორიაზე, შპს „ვექტრუმ 2015“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №72.09.26.092; 72.09.26.093; 72.09.26.094), „გვერდებზე მსხმოიარე კაკლის ბაღის განაშენიანების პროექტის ფარგლებში“ კაკლის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის „დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის 59-ე დადგენილების 21-ე მუხლისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის ტერიტორიაზე, მოქალაქე დავით ისახანაშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 72.09.26.092; 72.09.26.093; 72.09.26.094) „გვერდებზე მსხმოიარე კაკლის ბაღის განაშენიანების პროექტის ფარგლებში“ კაკლის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 21 ივლისის #163 განკარგულებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 25 ოქტომბრის #08/2/3715 მომართვის საფუძველზე,

1. დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის ტერიტორიაზე, შპს „ვექტრუმ 2015“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №72.09.26.092; 72.09.26.093; 72.09.26.094) „გვერდებზე მსხმოიარე კაკლის ბაღის განაშენიანების პროექტის ფარგლებში“ კაკლის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის „დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტები“ თანდართული პროექტის შესაბამისად (II ეტაპი). (დანართი: „მცხეთა, მუხრანი, მოქ. დავით ისახანაშვილის მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №72.09.26.092; 72.09.26.093; 72.09.26.094) - ის „გვერდებზე მსხმოიარე კაკლის ბაღის“ განაშენიანების პროექტის ფარგლებში კაკლის გადამამუშავებელი ქარხნის განთავსებისათვის, განაშენიანების რეგულირების გეგმა“).
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

